**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**
**National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia**

KA990118658393121

**№17/3253** **24 / აგვისტო / 2021 წ.**

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს დირექტორს გიორგი შუხოშვილს
მის: 0186 თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას #14
ტელ: (995 32) 2438830
ელფოსტა: info@waste.gov.ge

ბატონო გიორგი,

თქვენი ა/წ 30 ივლისის წერილის #04/280 პასუხად, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროსა და სოფ. შავსაყდართან ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას და საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ზედაპირული დაზვერვების ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ ანგარიშის მიხედვით საპროექტო არეალში კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლი/ობიექტი ან/და არტეფაქტები არ დასტურდება.

საყურადღებოა, რომ საპროექტო ტერიტორიის ოთხ ადგილას გამოვლინდა ქვების კონცენტრაცია, რა შესაძლოა არქეოლოგიური ობიექტების არსებობაზე მიუთითებდეს (იხ. ანგარიში გვ. 9-14).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეგიონის მაღალი ისტორიულ-არქეოლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით, ასევე, საპროექტო ტერიტორიის ოთხ ლოკაციებზე საეჭვო ქვაყრილების არსებობის გამო, მიწის ზედა ფენის მოხსნა აუცილებელია განხორციელდეს არქეოლოგის მეთვალყურეობით.

მიწის სამუშაოებზე მეთვალყურე არქეოლოგი ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის საზღვრების ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — დავით ლომიტაშვილი